ლელა წიფურია

Lela Tsiphuria

შექსპირის ტრაგედიების ინტერპრეტაციები თანამედროვე ქართულ თეატრში

Interpretation of Shakespeare's Tragedies in Contemporary Georgian Theater

ოცდამეერთე საუკუნის ქართული სათეატრო ხელოვნება შექსპირის ინტერპრეტაციების მრავაგვარობის ტრადიციის გამგრძელებლად მოიაზრება. მოხსენებაში განხილული იქნება თბილისის ორი უახლესი დადგმა, რომელთა დამდგმელი რეჟისორებიც- ლევან წულაძე და დავით დოიაშვილი თანამედროვე ქართული თეატრის გამორჩეულ ავტორთა რიცხვს მიეკუთვნებიან.

ლევან წულაძის „თეატრი სახელოსნო 42" ახალი სათეატრო სივრცეა არასათეატრო შენობაში, ყოფილი „კოკა კოლას" ქარხანაში. აქ თანამედროვე დარბაზი გაიხსნა, რომელიც ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს.

რით არის საინტერესო გაბოროტებული იაგოს და ეჭვიანი მავრის დატრიალებული მკვლელობამდე მისვლის პროცესი და შურისძიების შედეგი ოცდამეერთე საუკუნის რეჟისორისთვის? როგორ ითრევს დასი ამ პროცესში მაყურებელს? შევეცდები ამოვხსნა ეს ვითარება.

ეს პირველი სპექტაკლია და კოკა-კოლას ქარხნის არც თუ პომპეზურ თეატრალურ გარემოში იდგმება მაყურებელი მიდის იმის მოლოდინით, რომ ნახავს რაღაც სრულიად ახალს და განსხვავებულს- და ეს ასეც ხდება.

ლევან წულაძისთვის თეატრი სახელოსნო 42 უკვე მესამე დაარსებული თეატრია თეატრალური სარდაფისა და ვაკის თეატრის შემდეგ, თუ არ ჩავთვლით მარჯანიშვილის თეატრის სხვენსა და იქ უკვე გაუქმებულ სარდაფს- ასევე არაორდინარულ სათეატრო სივრცეებს. აშკარაა, რომ რეჟისორი ახალი სათეატრო შენობების და გარემოს მუდმივ ძიებაშია. ამთავითვე გეტყვით, რომ უაღრესად

დადებითად ვაფასებ ყოფილ ფაბრიკა-ქარხნებში თეატრების, სტუდიების თუ კაფე ბარების გახსნას. ეს ტრადიცია ევროპაში დიდი ხანია არსებობს. მუზეუმებსაც კი ხსნიან არაჩვეულებრივი ისტორიული ექსპონატებით. მილანის ყოფილ თამბაქოს ქარხანაში გახსნილი კინო მუზეუმი მახსნდება პატეს აპარატებით და კაბირიას ესკიზებით- აუცილებლად ნახეთ იქ თუ მოხვდებით.

დიდი თეატრების დარბაზებისგან განსხვავებით ოქროთი მოვარაყებული ჩუქურთმების გარეშე, ძველი, გენიალური და მარადიული კი შექსპირის ტექსტი- „ოტელო“ კვლავ უაღრესად თანამედროვედ და აქტუალურადაც კი ჟღერს გავრცელებული ფემისციდის შემთხვევების გამო.

რით არის საინტერესო გაბოროტებული იაგოს და ეჭვიანი მავრის დატრიალებული მკვლელობამდე მისვლის პროცესი და შურისძიების შედეგი ოცდამეერთე საუკუნის რეჟისორისთვის? როგორ ითრევს დასი ამ პროცესში მაყურებელს? შევეცადოთ ამოვხსნათ ეს ვითარება.

მხატვარ მხატვარ ნინო სურგულაძის გადაწყვეტით ფაქტობრივად ცარიელი სცენაა ერთი შავ ნაჭერ გადაფარებული მაგიდით, ვენური სკამით და შავი აბაჟურით. აქ შექსპირის ტრაგედია გათამაშდება „ოტელო“, რომელიც მესამე სეზონია თბილისის სხვადასხვა თეატრებში ისევ და ისევ ახალ ახალი გადაწყვეტით ხორციელდება. ფაქტია, რომ ლევან წულაძე და მსახიობები მაყურებლთა ემოციების მართვას სრულადახერხებენ. „ …კვიპროსი, სადაც გამარჯვებული, მაგრამ საბრძოლო იარებით დაღდასმული და პირქუში ოტელო (ნიკა კუჭავა) ბრუნდება, უფრო რომანტიკული თავგადასავლების მოლოდინშია. სანაპიროზე შეკრებილი მშვენიერი ქალები ზღვას გასცქერიან და კაცებს ელიან. დეზდემონა (ანუკა გრიგოლია), ემილია (ანკა ვასაძე) და ბიანკა (მარიამ ღვინიანიძე) გეგონებათ დიდი ხნის მეგობრები არიან. რეჟისორი მათ შორის არსებულ მკვეთრ სოციალურ და იერარქიულ ბარიერებს საგანგებოდ შლის და გვიყვება ამბავს ქალების შესახებ, რომლებსაც სიყვარული და ბედნიერება სურდათ… სინამდვილეში კი ომისგან დასახიჩრებული კაცების შიშნარევი სურვილები, თითქმის უგრძნობი და სავალდებულო თანაგრძნობა და ათასგვარი კომპლექსებით დახუნძლული ძალადობა იგემეს“ .[1]

„პერსონაჟთა ხასიათებს გამოკვეთს ნინო სურგულაძის კოსტიუმები და თინათინ წულაძის ქორეოგრაფიული ნახაზი. ქალებს ჰაეროვანი, მსუბუქი კოსტიუმები აცვიათ, კაცებს კი ტრადიციულისა და თანამედროვეს ნაზავი. ყოველი პერსონაჟი მისთვის დამახასიათებელი პლასტიკით მოძრაობს. ზურაბ გაგლოშვილის მუსიკალური გაფორმება კონტრასტის პრინციპზეა აგებული, რომანტიკული ვალსის

თემა ჟღერს ხოლმე დრამატულ მომენტებში, რაც განსაკუთრებულ განწყობას ქმნის მაყურებელში.“ [2]

სცენის მარჯვენა მხარეს ეკრანია სადაც დათა დვალიშვილის შექმნილი ვიდეინსტალაციის-მოლივლივე ზღვის ფონზე სამი ასული თეთრებით მოსილ ნიმფებს უფრო გვანან, ვიდრე სისხლიანი ტრაგედიის მონაწილეებს და მსხვერპლებსაც.

ზღვა, მზე , მთვარე და ვარსკვლავები- ერთი შეხედვით ტრივიალური ელემენტებითაც კი არის შექმნილი ვიდეოინსტალაცია. სპექტაკლში. რეალურად კი ვიდეონსტალაცია წარმოდგენის ყოველი ეპიზოდის უაღრესად შთამბეჭდავ ფონს ქმნის, სადაც ცეცხლისფერი დისკო თუ მშფოთვარე ტალღები შავ-თეთრ კადრებში მავრის ტრაგედიას იქ მყოფთათვის საყოველთაოს ხდის და უდანაშაულო ადამიანების სიკვდილის მიზეზი ხდება.

სცენაზე „გემად“ წარმოსახული გორგოლაჭებიანი კონსტრუქციის შემოსვლა უფრო თანამედროვე საკონცერტო გაბრდღვიალებულ დეკორაციას გავს. „გემი“ ორჯერ გამოჩნდება სცენაზე- დასაწყისში, როდესაც პერსონაჟი ქალები ომიდან კაცების დაბრუნებას ელოდებიან და ფინალში, როდესაც ტრაგედია უკვე მომხდარია. ეს ერთადერთი მოძრავი დეტალია სცენაზე თუ არ ჩავთვლით შავ აბაჟურს, რომელიც ოტელოს სიკვდილის მერე სცენაზე ჩამოეშვება და რომელშიც იაგო საკუთარი ნებით ხტება და განწირული ხმით ბღავის „ჩემო გენერალო“. ძნელია ამ მომენტში არ დაიჯერო, რომ პაატა პაპუაშვილის იაგო და ნიკა კუჭავას ოტელო მართლაც განუყოფელი დუეტია და იაგოს სიტყვები, რატომ დამტოვე ცოცხალიო, სრულიად გულწრფელია.

თეთრი „მავრი“ შავ ტანსაცმელში- პერანგსა და შარვალში, ისევე, როგორც სხვა მამაკაცი პერსონაჟები, თანამედროვე სამოსელით მოქმედებენ სცენაზე. შუა საუკუნეებიდან მათ მხოლოდ ერთი და წარმოდგენაში აქცენტირებული დეტალი ერგოთ- გრძელი დაშნები თუ ხმლები- ამ მოლაპლაპე და მრავალგზის გაშიშვლებულ ნივთს წარმოდგენაში დიდი დატვირთვა აქვს-როგორც შექსპირულ ტრაგედიას შეეფერება. სპექტაკლის მონაწილე ქალების სამოსი კი სრულიად განსხვავებულია. თითქოს ანტიკური საბერძნეთის ქანდაკებიდან აღებული ზურგმოშიშვლებული ნიმფები თუ ქალღმერთები არიან. ეს სამოსი მშვენიერი ახალგაზრდა მოხდენილი მსახიობების სილამაზეს გამოკვეთს. მათი მოძრაობები წარმოდგენას მართლაც ეფექტურ სანახობად აქცევს. ოფელია (ანუკა გრიგოლია), მსხვერპლი, რომელსაც ჩახუტებით აღრჩობს მასზე უზომოდ შეყვარებული და თავადაც ვერაგობის მსხვერპლი ოტელო (ნიკა კუჭავა). ვნებათა სიმძაფრე, უნებლიე დანაშაულის

თანამონაწილეობა, დიდი ტკივილი და ასეთივე დიდი სიყვარული, შესაძლოა ხორციელიც- ემილია- ანა ვასაძის შესრულებულ როლებს შორის ალბათ საუკეთესო. ცოტათი დაბნეული, ნაზი და ქარფშუტა ბიანკა- მარიამ ღვინიანიძე). ექსპოზიციის ასულები ამგვარ გზას გადიან წარმოდგენაში.

გმირი გენერალი. ერთი მხრივ მგზნებარე შეყვარებული და მეორე მხრივ ცხოვრებით დაღლილი, როგორც სამოცდამეექვსე სონეტშია. განსხვავებით სონეტის გმირისგან ბოლოში მოტყუებული, გათანგული მკვლელი და ვნებათა მორევში ჩათრეული თვითმკვლელი-ნიკა კუჭავას პერსონაჟი იქმნება და იძერწება იაგოს ხლართებში გამბის ინტენსივობის შესაბამისად. მანიპულატორი- ახლა ეს ტერმინი ფრიად პოპულარულია. შექსპირის პერსონაჟთა შორის ყველაზე ერთ-ერთი ყველაზე ვერაგი შურისმაძიებელი, რომელიც ნატიფი ფსიქოლოგიური ნიუნსებით ახერხებს მავრის დაჯერებას. პაატა პაპუაშვილის იაგოს მოქმედების სქემა თანამედროვე მანიპულატორებისთვისაც კი მიუღწეველი სიმაღლეა. ნიკა კუჭავას და პაატა პაპუაშვილის ფსიქო-ემოციური გადაჯაჭვულობა წარმოდგენაში „ოტელოს“ ფინალს სრულად ამართლებს- მათი ადგილი ერთ სარკოფაგშია. ეს მსახიობები მარჯანიშვილის თეატრის არაერთ სპექტაკლში არიან პარტნიორები და უნდა ითქვას, რომ მათი სახით თანაბარი შესაძლებლობების ძალიან საინტერესო არტისტული დუეტი ჩამოყალიბდა.

ლევან წულაძის სპექტაკლში შექსპირის „ოტელოს“ პერსონაჟთა რიცხვი თითქმის განახევრებულია. ცხადია ტექსტმაც შესაბამისად მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ვფიქრობ მსგავსი კუპიურები თანამედროვე თეატრში სრულიად გამართლებულია- 5 მოქმედებიანი ტრაგედია რთულად საყურებელი იქნებოდა. ანდრია გველესიანი, ნიკოლოზ ბაქრაძე და გიორგი გრძელიძე- იაგოს ხლართებში გაბმული გენერლის არმიის დარჩენილი წევრები.

ლევან წულაძის „ოტელო“ არავის ტოვებს გულგრილს. ვფიქრობ წარმოდგენის უპირატესად ფსიქოლოგიურ ასპექტში წარმოსახვამ ტრაგედია თანამედროვე მაყურებლისთვის უფრო გასაგები და ახლობელიც გახადა, მსახიობების შესრულებული სახეები კი ემოციურად მისაღები. პათეტიკა ხომ ოცდამეეთე საუკუნის თეატრში ტრენდულად აღარ ითვლება.

„შექსპირის „მეფე ლირი“, მის დადგმასთან დაკავშირებული, ბევრი ხელოვანისათვის გადაუჭრელი, რთული საკითხების მიუხედავად, შექსპირის „ჰამლეტის“ და „რომეო და ჯულიეტას“ შემდეგ, ყველაზე მეტჯერ არის განხორციელებული ქართულ სცენაზე. როგორც ჩანს, „მეფე ლირი“ შექსპირის

პიესათაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დრამატურგიული მასალაა ქართველი (და არა მხოლოდ) რეჟისორებისათვის. ძალზე საგულისხმოა ისიც, რომ ეს სტატისტიკა ემთხვევა 7 ევროპის რამდენიმე ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებსაც. „მეფე ლირი“, თემატიკით და პრობლემათა სიმწვავით, დღესაც აქტუალურია ფართო საზოგადოებისათვის. პრობლემათა სპექტრი გლობალურია და მას საზღვრები არ გააჩნია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნებისმიერ დროსა თუ სივრცეში, „მეფე ლირი“, ისევე როგორც შექსპირის სხვა პიესები, არ კარგავს აქტუალობას. აქედან გამომდინარე, თეატრი, როგორც ყველაზე თანამედროვე ხელოვნება, ვერ ასცდება ამ დრამატურგიულ მასალას. ამის დამადასტურებელი საბუთია ის, რომ ბოლო წლებშიც, აღნიშნული პიესა მსოფლიოში ხშირად იდგმება. დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი იყო „მეფე ლირის“ დადგმები ევროპის მთელ ტერიტორიაზე, რომლებმაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს ადამიანის ცნობიერების შეცვლაში. ამ მიმართულებით დაგროვილი გამოცდილების გაზიარება დღესაც აქტუალურია და მას თანამედროვე რეჟისურაში სამომავლოდ პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. “(გვ. 7, გვ5)[3]

„მეფე ლირი” დავით დოიაშვილმა პირველად 1995 წელს, მარჯანიშვილის თეატრში დადგა. მაშინ რეჟისორი 24 წლის იყო, ლირს კი ქართული თეატრის ჭეშმარიტი ვარსკვლავი ოთარ მეღვინეთუხუცესი ასრულებდა. საერთოდაც ლირის შემსრულებელთა სია ქართულ თეატრში სრულიად შთამბეჭდავია- მხოლოდ სერგო ზაქარიაძე, აკაკი ვასაძე და რამაზ ჩხიკვაძე კმარა ჩამონათვალში. იმავე აღმაშენებლს პროსპექტზე, იქვე, ახლოს მეფე ლირს კიდევ ერთი უბადლო შემსრულებელი ყავს, ასევე ნამდვილი ვარსკვლავი ზურაბ ყიფშიძე. ამგვარ გარემოში რეჟისორმა „მეფე ლირის“ ახალი ვერსიის დადგმა და ამ როლზე დავით ბეშიტაიშვილის აყვანა გადაწყვიტა. თავიდანვე გეტყვით ჩემს მოსაზრებას- დავით დოიაშვილის სპექტაკლის ლირის შემსრულებელი მსახიობის ხსენებულ ვარსკვლავთა რანგს არ მიეკუთვნება. რით არის ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თატრის წარმოდგენა მართლაც ახალი წაკითხვა შექსპირის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტრაგედიისა?

ოცდამეერთე საუკუნის ქართული სპექტაკლები რამდენადმე „კინემატოგრაფიულადაც“ შეიძლება მოვიაზროთ. თანამედროვე ქართულ თეატრში ვიდეოინსტალაცია ევროპული წარმოდგენების გავლენით შემოვიდა. დავით დოიაშვილის ინტერპრეტაციები შექსპირული ვნებების თანამედროვე ვერსიებად წარმოსახვას გულისხმობს. წარმოდგენა ვიდეონსატალციით იწყება, ეკრანიდან თანამედროვე ყოფა იჭრება და ფარდის აწევისთანავე აჩქარებულ ტემპო-რიტმში

მოძრავი პესონაჟები შემოდიან დარბაზში. სცენაზე ლურჯი ფერი დამინირებს. ლურჯი ფერის უნიფორმებში არიან მოსილნი პერსონაჟები, რომლებიც სცენზე განთავსებულ დეკორაციას რამდენადმე სხდომათა დარბაზს ამსგავსებს. ლურჯი ფერის რკინის კასრების სცენის მთელ სიგანეზეა განთავსებული. ეს ის ლურჯი არ არის ზეაწეულ განწყობაზე რომ დააყენებს მაყურებელს. კასრები, რომლთაც სპექტაკლის მსვლელობის დროს სცენაზე აგორავებენ, სამყაროს თითქოს გადავლით ემუქრება. „ანა ნინუას სცენოგრაფია გარეუბნის, მიგდებული ტერიტორიის ასოციაციას ქმნის. გარშემო მუქი ლურჯი პოლიეთილენის ზეწარი და კასრებია. რამდენიმე კასრზე ლირის გამოსახულებაა „სთრით არტის“ სტილში, რაც მეფისადმი ფსევდო პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავს. ჩნდება კითხვა, რას გამოხატავენ კასრები? „სიყვარულის ახსნის“ სცენაში მიწების დარიგებისას კასრების რიგი ზევით ადის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს სახელმწიფოს მეტაფორაა. კასრებში როგორც იმალებიან, ისე ორგიით კავდებიან, კასრიდან ტალახხიან ტაშტს იღებენ, კასრებზე კლავენ კიდეც. კასრი, ანუ სახელმწიფო - სიბინძურის ჭურჭელია.“[4]

ლურჯი ფერისაა ავტომობილიც, რომელშიც ოჯახური გარჩევა- რეალურად კი სამეფოს ბედის გადაწყვეტაც ხდება. ეს ფერიც თითქოს საყოველთაო უიმედობას, დეპრსიას და შხამის ფერს გვაგონებს... მხოლოდ კორდელია (მანუ თავაძე) და მასხარა (შაკო მირიანაშვილი) იყვნენ თეთრად მოსილები პირველ ეპიზოდში. სიმართლისათვის მებრძოლნი, ისინი დაღრჩობით ასრულებენ სიცოცხლეს. თუმცა მანამდე მასხარა, რომელიც ერთგვარ რეზონატორად გვევლინება სპექტაკლში სპექტაკლის მსვლელობისას ფაქტობრივად მაყურებელს თავებზე გადაუვლის. სხვა პერსონაჟებიც ზედმეტად აქტიურად მოძრაობენ დარბაზში.

რადგანაც მანქანის ეპიზოდი ვახსენეთ, აქვე დავძენ- ეს ერთ-ერთი საუკეთესო სცენაა წარმოდგენაში. დავით დოიაშვილის წარმოდგენაში უხვად არის გამოყენებული ვიდეოინსტალაცია. ეს კადრები, რომლებიც ახლო ხედით არის გადაღებული, თითქოს პერსონაჟების სულში გვახედებს და მათი ჭეშმარიტი არსის წაკითხვაში გვეხმარება. განსხვავებული არსის-რადგან რეჟისორის გადაწყვეტით გონერილი (ნატა ბერეჟიანი) და რიგანი (ეკა დემეტრაძე) ერთნიშნად ბოროტები არ არიან. მამის მიმართ მათი დამოკიდებულება ამბივალენტურია. ეს განსაკუთრებით იკვეთება აბაზანის ეპიზოდში, როცა გონერილი (ნატა ბერეჟიანი) მორალურად ანადგურებს, თავს აწყევლინებს და ფიზიკურად ატირებს ერთ დროს მრისხანე მამას. ლირის ორივე უფროსი ქალიშვილი უსიყვარულობის მსხვერპლია. გონერილის ქმარი, მთავარი ალბანიისა (ანდრო ჭიჭინაძე), და რიგანის ქმარი-მთავარი კორნვალიისა (გიორგი ბახუტაშვილი) ხეიბრისა და ფაქტობრივად მანიაკის

დუეტია. რეჟისორი თითოს მათი დაუკმაყოფილებელი ცოლების საქციელის გამართლებას თუ არა, მიზეზის ძებნას მაინც ცდილობს. ედმუნდის (გივიკო ბარათაშვილი) შეყვარება და მისთვის დაუნდობელი ბრძოლაც ორი სუბლიმირებული მდედრის შერკინებაა, საიდანაც არავინ გამოდის გამარჯვებული.

დავით ბეშიტაშვილის ლირი არ არის მოხუცი, საშუალო ხნის საკმაოდ ენერგიული და რამდენადმე ცინიკური კაცია. სამეფოს გაყოფის ეპიზოდში ის სხდომის თავმჯდომარეს უფრო გვაგონებს, ვიდრე მონარქს. საერთოდაც, სამეფოს გაყოფა მისთვის უფრო თამაშის ნაწილია, სადაც ყველას ჭადრაკის ფიგურებივით თავის ჭკუაზე განათავსებს და შემდეგ, მთელი წარმოდგენის მანძილზე ჰეგემონის სტატუსის დაბრუნებისთვის იბრძვის და ამ ბრძოლაში აცნობიერებს, რომ ყოველივე არარაა. დავით ბეშიტაიშვილი ფსიქოლოგიური რყევების ქარტეხილში წარმოგვიდგენს ტრაგიკულ გმირს, რომელიც ნამდვილ ქარიშხალში მოხვედრილი უკვე სრულიად დაცლილი და უძლურიაცაა. ულამაზესია ნისლების ეპიზოდი. შემაძრწუნებელია ტალახის, უფრო ზუსტად ლაფის დასხმა ყველას თავზე. ჯოჯოხეთური სცენა, საიდანაც ყველა განადგურებული გამოდის.

ტრაგედია შედგა. ტრაგიკული პერსონაჟებს თანალმობის და თანაგანცდის გზით მაყურებლები კათარზისისკენ მიყავთ.

ტრადიციულად, თბილისის თეატრების რეპერტუარში შექსპირის პიესები ყოველთვის თვალსაჩინო ადგილს იკავებს. ლევან წულაძისა და დავით დოიაშვილისთვის შექსპირის პიესების დადგმა ყოველთვის ახალი ინტერპრეტაციის ძიების საფუძველი ხდება. ოთხასი წლის წინანდელ ტრაგედიებს კვლავ კათარზისამდე მიყავს მაყურებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

დავით ბუხრიკიძე,დ. ლევან წულაძის მესამედ მოსვლა „ოტელოს“ შთაგონებით, 2023https://argacherde.bog.ge/lifestyle/solo/recenzia-levan-culadzis-mesamed-mosvla-otelos-shtagonebit-2

მაკა ვასაძე,მ. (2023) „ოტელო“-შურისძიებასა და ეჭვებს შეწირული სიყვარული“, „თეატრი“N5, 2023

ჩხარტიშვილი, ლ. „მეფე ლირის“ სცენური ინტერპრეტაციის საკითხები ევროპულ და ქართულ თეატრში, მონოგრაფია, (გვ. 7, გვ5)
https://www.theatrelife.ge/_files/ugd/0fb0d1_13fdc729272a495b9a022050835791c0.pdf?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR2wcv8Y6muoiJZ5RA7v4JGpLQRL4UPWuEskJayOmsWPJmmVSZPbNf1-5dQ_aem_ATwgHUvCWSVWueZHzNAE_0TqRweLl9EGJlXs1kO3v539BrGgQI1luWkthi7Q9WVZkRIZ3l23PhUQukFfdv0fXu9L

ანასტასია ჩერენცოვა,ა. (2023), სამყარო იაფფასიან შოუდ იქცა, „თეატრი“N6, გვ.17